ცნობის ფურცელი

№ 2220 ორშაბათი, 28 ივლისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2220

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვერის ხიდ ქუჩაზე, № 27 და ტ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

3 მანეთი ღირს ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე

САПАБРИКО САЦЫОБИ

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (0—99)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დილით:

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

ბრ. ვ. ხოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ქ. ქუთაისში
ექიმი გაბრიელ იოსების ძე
ბოკიელოვი

გადავიდა ალექსანდრეს ქუჩაზე საკუთარს სახლში. ავადმყოფებს იღებს დილის 9—12 საათამდე, საღამოთი 5—7-დის. 7 საათიდან ელექტრონით წამლობა. (20—5—5)

ახალი ამბავი

✦ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი გენერალი ფონ-ვალი დღეს, 28 ივლისს, ბაქოდან ტფილისს წამოვა. მინისტრის ამხანაგი არც ერთ დღეს არ დარჩება ტფილისში და საქართველოს სამხედრო გზით რუსეთს წავა.

✦ „კავკ."-ში დაბეჭდილია: „რადგან შეკრებილ ცნობებით დამტკიცდა მავნე მოქმედება ტფილისში მცხოვრებთა: ტირასპოლელ მოქალაქის იაკობ ცუკანოვისა, შორაპნის მაზრის სოფ. საქარის მცხ. დავით ვლადიმირის ძის კურცხალიასი, აზნაურობის მაძიებლის სოფ. სერგეეთის მცხოვ. ვლად. ანტონ. კიკნაძისა, სენაკის მაზრის სოფელ ხუნცის გლეხის ილიკო იოს. ხვინჩიასი და ქუთაისის მაზრის გლეხის ალექსანდრე დიმიტ. კვინჩიასი, ამიტომ კავკასიის მთავარმართებელმა საჭიროდ სცნო აუკრძალოს ზემოდ ჩამოთვლილთ კავკასიაში ცხოვრება: პირველს (ცუკანოვს) სამუდამოდ, დანარჩენთ—სამ-სამის წლით".

✦ კანონით იმათ, ვინც ადმინისტრაციის წესით რაიმე დანაშაულობისთვის ერთის ადგილიდან მეორეში იგზავნებიან, ხუთის წლის შემდეგ ნება ეძლევათ ითხოვონ სამშობლოშივე დაბრუნება. მსურველმა განცხადება უნდა წარუდგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. სამინისტროს განკარგულებით ცნობები იკრიბება ყოფა-ქცევის შესახებ როგორც იმ გუბერნატორისაგან, სადაც დამნაშავეა გაგზავნილი, ისე იმ გუბერნიის უფროსისაგან, სადაც დაბრუნებას თხოულობს. ცნობების შეკრება ხშირად მთელის წლობით გვიანდება. შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევია და ახალი წესები შეუმუშავებია. ამ წესების ძალით, დასჯილთა თხოვნაზე დაუყოვნებლივ პასუხი უნდა გაიგზავნოს და ნება-რთვა სამშობლოში დაბრუნებისა. სამინისტროს განკარგულებით, კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიამ მიწერილობანი დაუგზავნა კავკასიის გუბერნატორებს, შეატყობინა სამინისტროს მიერ გამოცემული წესები და მისწერა ადმინისტრაციის წესით გადასახლებულთა უკანვე დაბრუნების დროს მალე შეჰკრიბონ ცნობები და გაუგზავნონ სამინისტროს.

✦ ქალაქ ბათუმში, ადგილობრივ გუბერნატორის განკარგულებით, 8 აგვისტოდან **აღკრძალული იქმნება იარაღის ტარება.**

✦ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ლაპარაკი იყო **გორის საოსტატო** სემინარიის ტფილისში გადმოტანის შესახებ. რადგან ქალაქ გორისა და მთელ მაზრის მცხოვრებთათვის სემინარიის გადმოტანა საზარალო იქმნება, ამ დღეებში გორის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, დაეხმაროს ქალაქ გორს, რომ საოსტატო სემინარია გორშივე დარჩეს.

✦ რუისისა, ურბნისისა და სხვა მახლობელ სოფლების მცხოვრებთ, როგორც „ნ. ობ."-ში სწერია, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავთ **სკრასა და ქარელს** შუა, მე-108 ვერსზე, ბაქნის გამართვის შესახებ.

✦ 20 ივლისს ქიათურის სახლის პატრონთ ერთხმად დაუდგენიათ: აღძრან შუამდგომლობა **ჭიათურის მოასადაგ გადაკეთების** შესახებ.

✦ ოდესიდან „ნოვ. ვრ."-ს **დეპეშით ატყობინებენ:** „ასოთ-ამწყობთა სიცოტავის გამო ორი დღეა გაზეთები არ გამოდის. სანოვაგის ფასმაც ძალიან აიწია ქალაქში".

✦ როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს შეუმუშავებია მოხსენება ტფილისის **მოქალაქეთა და სახელოსნო გამგეობების** რეორგანიზაციის შესახებ. პროექტით, მოქალაქეთა და ხელოსანთა საქმეები ქალაქის თვით-მმართველობას უნდა გადაეცეს.

✦ გუშინ ვწერდით, რომ მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი **სულთან კრიმ-გირეი სპარსეთს მიდის.** ბ-ნი სულთან კრიმ-გირეი 26 ივლისს უკვე წავიდა რკინის გზით ერევნისაკენ, ხოლო იქიდან თავრიზს წავა. თან მისდევს ექიმი-ქალი ეგიზ-კრიმი. სულთან-კრიმ-გირეიმ უნდა გაიცნოს ეკონომიურ ყოფა-ცხოვრება სპარსეთისა.

✦ გუშინ **ბორჩალოს მაზრაში წავიდა** ტფილისის საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბ-ნი მაჭავარიანი იქაურ სასოფლო სამკურნალოს დასათვალიერებლად და გადამდებ სენის წინააღმდეგ საშუალებათა მისაღებად.

✦ ტფილისის **წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის** უფროსად, როგორც „ტიფლის."-ს გაუგია, ჰნიშნავენ ინჟინერის ქვრივს ქ-ნ ზამიატკინისას.

✦ ტფილისის მაზრის სოფელ ირაგადან გვატყობინებენ: ამ სოფლის მცხოვრებთა ორი ქალი, ერთი 13 წლისა, ეკრეკრა ბეხანოვისა, და მეორე 10 წლისა, ქრისტინე ხალილოვისა, ხათიბში უთვილიყვნენ და თივას აგროვებდნენ თურმე. 21 ივლისს, დღისით, სოფელ დმანისის მცხოვრებნი ნიკო და იორდანე ძუკაშვილები და დათიკო მაკაშვილი ცხენით მიჰვარდნიან 13 წლის ქალს ეკრეკრეს და ტყეში გაუტაცნიათ. რადგან ქალს ხმა-მაღლა ეყვირნა მოურთავს, ბოროტ-განმზრახველებს ამოუღიათ ხანჯალი და დაჰმუქრებიან, ხმა არ ამოიღოო, თორემ მოგკლავთო. ეკრეკრის მამას მალე შეუტყვია ქალის მოტაცება, გამოუდგა თავ. დავით ზ. ბარათაშვილის ტყის მცველ გიორგი ნინიკაშვილთან, რომლის დახმარებით, კარგა ხნის ძებნის შემდეგ, ქალისათვის მიუგნიათ ტყეში. იგი მარტო უთვილა. როგორც კი გაუგონიათ მძებნელთა ხმა, ბოროტ-განმზრახველებს ქალი ტყეში მიუტოვებიათ. საბედნიეროდ, ბოროტ-განმზრახველთ ქალისთვის ნამუსის ახდა ვერ მოუსწრიათ.

წერილი ხონიდან

მოახლოვებული ეგზამენები.—დილიჟნის გაძარცვა.

მოახლოვდა ეგზამენების დრო და ხონიც აივსო მოსწავლეებით. ყოველ ფეხის გადადგმაზე შეხვდებით მოსწავლეებს, წიგნებით ხელში მასწავლებლებთან მიმავალს. მოსწავლეთა უმრავლესობა გარეშე სოფლებისა და დაბებიდან არის ჩამოსული. სხვათა შორის, რუსებიც ეტანებიან ჩვენს სკოლებს, განსაკუთრებით საოსტატო სემინარიას. სემინარიის საერთო მოსწავლეთა რიცხვში რუსები შეადგენენ ერთ-მეოთხედს, თუ მეტს არა. ერთის სიტყვით, სწავლის მსურველი მეტად ბევრია, მაგრამ, სამწუხაროდ, მეოთხედს თუ ეღირსება ხოლმე სასწავლებელში შესვლა.

22 ივლისს ქუთაისიდან ხონში მომავალ დილიჟანს, რომელსაც რვა კაცი მოჰყავდა, შეხვედრია ოთხი შეიარაღებული კაცი. ოთხივეს მასკები ჰქონდა ჩამოფარებული. შეიარაღებულებს მოუთხოვნიათ მგზავრთათვის ფული. ბოროტ-მოქმედთ წაურთმევიათ ქამრები და ყველაფერი ნივთები, რაც-კი გაჩნდათ დილიჟანში მყოფთ. შემდეგ გაუჩხრეკიათ ჯიბეები: ზოგში სამი მანეთი უნახავთ, ზოგში ოთხი, ზოგში—რვა, მხოლოდ ერთისათვის წაურთმევიათ ასი მანეთი. დასასრულ ბოროტ-მოქმედნი ზრდილობიანად გამომშვიდობებიან გაძარცულთ და წასულან. როგორც გადმომცეს, ორი ბოროტ-მოქმედი უკვე დაუპატიმრებიათ.

ილია ბახტაძე.

წერილი თელავიდან

განზრახული სეირნობა-ბაზარი.—წარმოდგენები არტისტთა მონაწილეობით.

6 ივლისს წიგნთ-საცავში მომხდარ კრებაზე გამოითქვა სურვილი სეირნობის გამართვის შესახებ წიგნთ-საცავის სასარგებლოდ. ამ საქმის განხორციელებას უკვე შეუდგნენ. ხომ მოგეხსენებათ, უკრებოდ არსად არაფერი კეთდება (კიდევ კარგი, თუ კეთდება, თორემ ბევრჯერ...). აქაც მოახდინეს კრება. სჯა-ბაასის შემდეგ აარჩიეს ეგრედ წოდებული კომიტეტი, რომელმაც უნდა გამართოს სეირნობა. ამ კომიტეტმაც მოახდინა კრება და შეიმუშავა სეირნობის პროგრამა. სეირნობა გამართება ორ აგვისტოს კნ. ნინო დეონიძის ბაღში საქველ-მოქმედო ბაზრითა და სამუსიკო-საკონცერტო განყოფილებით. სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა და ზურნა. შესდგება ქალ-კაცთაგან აგრეთვე ხორო ბ-ნ ზ. ჩხიკვაძის დირიჟორობით. სიმღერებს შეასრულებენ ქართულ-რუსულ-სომხურად. ერთის სიტყვით, საქმის მოთავენი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ სამაგალითოდ მოაწყონ ეს საღამო. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თელავისა და მაზრის საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებება ამ საქმეს და დახმარებას გაუწევს როგორც ნივთიერად, ისე სეირნობაზე დასწრებით.

ამ ორის წლის წინად თელავში აღიძრა ლაპარაკი სახალხო თეატრის დაარსების შესახებ. შესდგა კომიტეტი, დაარსდა ფონდი შენობის ასაგებად, გამართეს კონცერტი თუ წარმოდგენა და, თუ არა ვცდები, შემოსულ-მოგროვილი ფული 200 მან. მეტი აქაურ შემნახველ კასაში ინახება. ქალაქიც ადგილს ჰპირდებოდა ბაღში. შემდეგ სახალხო თეატრი სრულიად მიივიწყეს.

თუ მართლა, როგორც მოელოდებიან, ზემოხსენებულ სეირნობიდან შემოვიდა რამდენიმე ათი თუმანი, ჩემის აზრით, და როგორც თვით ინიციატორნი ჰფიქრობენ, უმჯობესი იქნება ამას კასაში შენახული ფულიც მიემატოს და თეატრის ნაცვლად აშენდეს ჯერ-ჯერობით წიგნთ-საცავისთვის შენობა, თუნდ ერთი ოთახი.

თელავში ზაფხულობით წარმოდგენები ხშირია. როცა სხვა-და-სხვა მხრიდან ბრუნდება ახალთობა, იმართება წარმოდგენები. მონაწილეობას იღებენ სულ სცენის მოყვარენი. წინად ქართული სცენის მსახიობნი გვესტუმრებოდნენ ხოლმე, მაგრამ ეს ორი წელიწადია ჩვენკენ პირი აღარავის უქნია. ამ ჟამად თელავში იმყოფება არტისტი-ქალი გაბუნია-ცაგარელისა. იმისა და ბ-ნ ვ. გამყრელიძის და დ. აწყურელის მონაწილეობით უკვე გაიმართა პირველი წარმოდგენა 20 ივლისს. წარმოადგინეს „მზეს მოკლებულნი" დ. აწყურელისაგან თარგმნილი 4 მოქ. დრამა და „ბებრის საღერღელი" 1 მოქ. კომედია, თარგ. აწყურელის მიერ. ხალხი ბევრი დაესწრო.

დიმიტრაშვილი

დაბა-სოფლები

ხოფ. მიქავენა (დეხვიმი). „ცნობის ფურ."-ში ეწერა, რომ 1888 წლის 4 აპრილის დებულებას ტყეების დაცვის შესახებ ამიერ-კავკასიაშიაც შემოიღებენო. არ შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ ეს მეტად სასარგებლო განკარგულება სხვა რომელსამე სოფელს ისე მოუხდეს, როგორც ჩვენს მექავენას. ამ ათ-თხუთმეტის წლის წინად ჩვენი სოფლის ახლო-მახლო მდებარე მთა-გორაკები სულ ერთიან შემოსილი იყო მშვენიერისა და ხშირის ტყით, რომელიც შესდგებოდა წაბლისა, ცაცხვისა, მუხისა და სხვა კარგ ჯიშის საშენებელ ხეებისაგან. ახლა-კი რასა ვხედავთ? მოტიტვლებულ მთა-გორაკებს, სადაც ქარი თავისუფლად დასეირნობს. ქარი ხშირად სოფლადაც გვწვევს და ყველას თავ-ზარსა გვცემს: სახლებს ანგრევს, ზოგს სახურავებსა ჰგლეჯს, ხეებს ძირიანად ჰთხრის და სხ. მოხუცებული კაცები ამბობენ, რომ ამისთანა ქარი წინად, სანამ ტყე გაიჩეხებოდა, აქ არ იცოდნენ.

სოფელზედ მოშორებით მოსჩანს ტყეები, მაგრამ რომ შებრძანდეთ შიგ და გულ-დასმით დაათვალიეროთ, საინტერესო სურათს ნახავთ: ეს ვეებერთელა ხეები ათობით და ასობითაც კაცის ხელით წაქცეული და უსარგებლოდ ჩამპალია. მერე რისთვის!? იმისთვის, რომ რადაც პატარა სტრაფილი დასჭირდებათ (სტრაფილს ეძახიან გათლილ ხეს, რომელსაც სიგრძე 9—10 არშინი აქვს, სისქე-სიფართე-კი 3 და 4 გოჯი), მიდგებიან ხის ძირში და შეათვალთვალებენ, აბა ამ ხეში სტრაფილი თუ გამოვა. მერე იღებენ ცულს და სჭრიან უზარმაზარ ხეს, რომლიდანაც ერთის სახლის ასაშენებელი ფიცარი თამამად გამოვა. ბევრ ტყეს სწეხავენ სოფლელნი საყანედ, ანუ, როგორც ჩვენში ეძახიან, სახნავად. ერთი მეორეს ჯიბრში უდგას—არა მე ვიღრო მეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა მოვკათოთ და არა მეტ. მეტი თუ არა, აღარც ნაკლები ზარალი მოსდის ჩვენს ტყეებს მეგრელების თხის ჯოგებისაგან. ეს მეჯოგეები ზამთარ-ზაფხულ დაბინავებულნი არიან ჩვენს მთებში და მცხოვრებთა სასარგებლოდ იხდიან საიჯარო ფულს, რომლიდანაც თითო კომლს 70—80 კაპ. ძლივს ხვდება, ზოგი-კი ამის მიღებასაც ვერ ღირსება ხოლმე, იმიტომ რომ მეჯოგეებთან პირობის შეკვრა, საიჯარო ფულის მიღება და მცხოვრებთა შორის მისი განაწილება „სოფლის თაოსნების" საქმეა. ეს ვაჟ-ბატონები-კი რომელსაც დაიმორჩილებენ თვალში, ხელში ფულს არ აძლევენ. კიდევაც რომ ყველამ ხელში ფული მიიღოს, რა გამოვა! სარგებლობაზედ ზარალი გაცილებით მეტია.

ასე და ამ გვარად ჩვენ ტყეებს სისტემატიურად ანადგურებენ. ათიოდე წლის შემდეგ მეგრელების ტყეები სრულიად გამოეთხოვებიან ამ წუთისოფელს. ერთი ძირი ხეც აღარ იქნება. ფესვზედ ტყეების სულ ერთიან აჩეხვას ზარალი, რაცა თქმა უნდა, დიდი მოჰყვება. წინად, როდესაც ჩვენი მთები დაფარული იყო ხშირის ტყით, ყველაფერს შევხვდებოდით: მგელს, ჯიხვს, არჩვს, ახლა-კი აღარც ერთი ნადირი არ მოიპოვება. აქა-იქ დათვს თუ შეხვდებით. მდინარეებმა შესამჩნევად იკლეს, ზოგი მათგანი ზაფხულობით კიდევაც შრება, რადგან სათავეში ტყეები აღარ არის. მიწისა და უმეტესად თოვლის ზვავი ხომ ხშირია, რასაც შედეგად ორჯერ-სამჯერ საზარელი უბედურებაც მოჰყვა: 1897 წ. თოვლის ზვავმა დ. კვატაშიძის სახლ-კარი და ცოლშვილი მოიტაცა და ქვეშ მოიტანა. ცოლი ამ შემთხვევას თან გადაჰყვა, შვილები კი, როგორც იყო, სიკვდილს გადაარჩინეს. მეორე ზვავმა სამხედრო-ოსეთის გზაზედ მუშაობის დროს ქვეშ მოიტანა ოთხი კაცი, რომელთაგან ერთიც არ გადარჩენილა. როცა წამოსწვიმს, ასტუდება უშველებელი ნიაღვრები, ჰხვეტავს დათესილ ყანებს და სტოვებს დაფარულ მოტიტვლებულ მიწას. ნიაღვარმა 1895 წელს იმსხვერპლა ორი ადამიანი, გვარად ნემსაძეები. მოხუცებული კაცები ამბობენ, რომ სხვა-და-სხვა ავადმყოფობა, რომელიც ახლა ასე ხშირია, წინად, ტყეების გაჩეხამდე, არ ყოფილა. ტყეს ჰავის სიკარგეზედ დიდი მნიშვნელობა და გავლენა აქვს: სადაც ტყე ბლომადაა, იქ ჰავაც სადაა.

დროა გონს მოვიდეთ და ასე ბარბაროსულად, უგონოდ და უმოწყალოდ ტყეების გაკაფვასა და განადგურებას ბოლო მოვუღოთ, თორემ სადაცაა ტყეები თავს დაგვანებებენ და სამუდამოდ გამოგვეთხოვებიან. საჭიროა: 1) დაცულ იქნას ის ტყეები, რომელიც გამოცდილ მოხელეთაგან ე. ი. ტყის ინსტრუქტორთან დაცულ ტყეებად იქნება ცნობილი, 2) იმ ადგილებზედ, რომელიც ახლა მოტიტვლებულია, გაშენდეს ტყე, 3) ტყეების გაკაფვა და ყოველ გვარი ტყით სარგებლობა გაუწესრიგოთ მცხოვრებთა შორის ისე, რომ უპირატესობას ჩვენში ადგილი არა ჰქონდეს და თითოეული კომლი სარგებლობდეს ტყით ისე, რომ კეთილგონიერმა ადამიანმა არა რა დაუწუნოს და დაუძრახოს. ერთის სიტყვით, საჭიროა, რომ დაუყოვნებლივ მივიღოთ და სისრულეში მოვიყვანოთ ყველა ის ზომები, რომლებსაც ტყის დაცვის ახალი კანონი გვიჩვენებს.

ქსენოფონტ მაჭუტაძე

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 ივლისი

კონსტანტინეპოლი. მაკედონელთა კომიტეტებს აზრად ჰქონდათ მოქმედება დაეწყოთ 2 აგვისტოს, ბერძნების წმ. სტეფანეს დღეობის დღეს, მაგრამ მოქმედების ნიშანი მისცეს წარსულ კვირას. მონასტირიდან კონსულების მიერ გამოგზავნილ დეპეშებში, დაგვიანებული სატელეგრაფო მავთულების დაწყვეტისა გამო, შემდეგი დამატებითი ცნობებია. მეამბოხენი რესნაში დაეცნენ რამდენიმე სოფელს; 6 ადგილას მათ ჯართან ჰქონდათ ბრძოლა, ხოლო ზოგიერთ ადგილას კი სოფლის ხალხთან—მაჰმადიანებთან. შორეულ მეამბოხეთა თხუთმეტ უფროსთა შორის არიან პოლკოვნიკი იანკოვი და სარაფოვი. მონასტირის არე-მარეში და მონასტირში ხალხი აღელვებულია; ვაჭრობა და მიმოსვლა შეჩერებულია. მონასტირის ვალიმ დივიზია მოითხოვა; ერთი ბრიგადა და რვა ბატალიონი გზაზეა. სულეიმან-ფაშას მიენდო უფროსობა კორპუსისა, რომელიც დანიშნულია აჯანყებულთა დასამორჩილებლად. კოჩანისა, კრატოვისა და ეგრი-პალანკის არე-მარეში გაჩნდა მეამბოხეთა დიდი ჯგუფები. უსკიუბში გარნიზონი გაძლიერებულია. ხილმი-ფაშამ გადასდო თავის მოგზაურობა და დაბრუნდა უსკიუბში.

სოფია. ნამდვილია, რომ ამბოხება მოედო ბიტოლისა, უსკიუბის ნაწილს და სალონიკის ვილაიეტებს. მრავალმა მეამბოხეთა გუნდებმა, რომელნიც შეიარაღებულნი არიან „გრა"-ს სისტემის თოფებით, ააოხრეს თათრების სოფლები, კაზარმები, სადგურები, შენობები და ხიდები. მეამბოხეთა გუნდები ოსმალოს ჯარს ერიდებიან და მთებში მიდიან ხოლმე, როდესაც კი სადმე შეჰხვდებიან. კრატოვის ახლო მეამბოხეთა რამდენიმე გუნდი მოვიდა. ამათ მიემხრნენ ადგილობრივი მცხოვრებნი. ოსმალეთის მთავრობა ირწმუნება, რომ ბოლოს მოუღებს ამ სასტიკ მოქმედებას. ბოლგარიის მმართველობა დიდის ინტერესით, თუმცა მშვიდად, ადევნებს თვალ-ყურს ამ ამბებს და იმედი აქვს, რომ პორტა ეცდება ააცდინოს მოსალოდნელი შეტაკება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ბოლგარიის სამთავროს ჩარევა ამ სახიფათო საქმეში. სამხედრო მინისტრმა სასტიკი ბრძანება მისცა საზღვრის დარაჯებს არ შემოუშვან ბოლგარიის ტერიტორიაში ოსმალეთის შეიარაღებული ბრბონი.

ლონდონი. ბომბეის გუბერნატორი ლორდი ნორსკოტი დაინიშნა ავსტრალიის გენერალ-გუბერნატორად.

სოფია. მთავრობის წრეებში ამბობენ, რომ მთავრობა სრულიად არ ელოდდა მეამბოხეთა მოქმედების განახლებას, ამასთანავე ჰგონია, რომ ამ მოძრაობას ადგილობრივი ხასიათი უნდა ჰქონდეს და არა საზოგადო.

სალონიკი. მონასტირის ვილაიეტში საერთო აჯანყებაა. მეამბოხენი ცეცხლს უკიდებენ იმ ეზოებს, სადაც ახლად მომკილი პურის ზვინებია. კრუშჩევაში დინამიტი ააფეთქეს. 30 მოხელე და ოსმალეთის ოჯახი მოჰკლეს. სალონიკში მშვიდობიანობაა.

ბელგრადი. სერბიის ჯარის პორუჩიკმა პავლე მიხაილოვმა გადასცა ავსტრიის მისსიას მობილიზაციის გეგმა.

პარიზი. ნაფიც-მსაჯულთ დაიწყეს ემბერთა პროცესსი.

27 ივლისი

კიევი. ნიკოლოსკის სლობოდაში, რომელიც დნეპრის გაღმაა გაშენებული, დიდი ცეცხლი გაჩნდა. 100-მდის სახლი დაიწვა. ჰფიქრობენ, ცეცხლი ძალად წაუკიდებიათო.

კონსტანტინეპოლი. ილდიზ-კიოსკი და პორტა, მეამბოხე რაზმებმა ხელ-ახლა რომ დაიწყეს მოქმედება, ძალიან შეძრწუნდნენ, ეხლა-კი ნელ-ნელა მშვიდდებიან. მოძრაობა მონასტირის ვილაიეტს არ სცილდება.— პორტა აცხადებს, რედიფების დაპირებული დათხოვნა და მათ მაგიერად მარშალ რედში-ფაშის ჯარების დანიშვნა მაინც აღსრულებულ იქმნება, მიუხედავად უკანასკნელ ამბებისაო.— როგორც ოსმალთა ცნობებიდან სჩანს, 100 კაცისაგან შემდგარი რაზმმა დიდი არეულობა მოახდინა ვოდენის მთებში და მაჰმადიანთა რამდენიმე სახლი და ხორბლის საწყობი დასწვა.— დიბრას ახლო 200 კაცისაგან შემდგარი რაზმია.— სერესში დააპატიმრეს ბოლგარელი, რომელსაც დინამიტის ყუმბარების გატანა უნდოდა.— რუსეთმა პორტას რჩევა მისცა იმის შესახებ, რომ კურდები არზრუმისა და ბიტლისის ვილაიეტებში სომხებს ცუდს საქმეს უქადიან; ამაზე პორტამ წერილობით პასუხი გასცა, საშიში არაფერიაო.— უკანასკნელ დღეებში ილდიზ-კიოსკის სასახლეში მინისტრთა სამხედრო კრებები მოხდა, რომლებზედაც მაკედონიის ვილაიეტების მდგომარეობაზე ჰქონდათ მსჯელობა.

ჰეიდელბერგი. უნივერსიტეტის იუბილეს გამო სამკურნალო ფაკულტეტმა საპატიო დოქტორის ხარისხი მისცა რიგელ შვეინფურტს, ცნობილს მოგზაურს აფრიკაში.

ნიჟნი-ნოვგოროდი. გამოქვეყნებულია შემდეგი განცხადება ნიჟეგოროდის გუბერნატორისა: „ხელმწიფე-იმპერატორმა, საროვის უდაბნოდან რომ ბრუნდებოდა, სამეფო პლატფორმაზე, არზამასს ახლო, ასეთი სიტყვების ღირსი გამხადა: „მე აღტაცებაში მოვყავს ნიჟეგოროდის გუბერნიის მცხოვრებლებმა თავის დახვედრით და სამაგალითო წესიერებამ, რომელსაც თვით მცხოვრებნი იცავდნენ გზაზედ. მსურს, რომ ეს ჩემი სიტყვები ხალხამდის მივიდეს".— განცხადებაში კიდევ ნათქვამია: „მე ბედნიერ ვარ, რომ ხალხს ვაუწყებ ამ ყოვლად მოწყალე სიტყვებს მის დიდებულებისას. ეს სიტყვები ყველა კაცის გულში აღტაცებას გამოიწვევს, შთამომავლობიდან შთამომავლობაზედ გადავა და ხალხს მოაგონებს იმ ნეტარს დღეებს, როდესაც მისი უდიდებულესობა ხელმწიფე-იმპერატორი და მათნი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატრიცანი ნიჟეგოროდის გუბერნიის საზღვრებში ბრძანდებოდნენ".

სოფია. მაკედონიის წრეები სანდო-წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ამბოხება სისწრაფით ვრცელდება მთელ უსკიუბის ვილაიეტში. რაზმები ძალიან სდევნიან ოსმალებს და ბევრი ხალხი მოუკლეს. რაზმები „გრა"-ს თოფებით და ხელიაკები ცულებით თანვგანწირულად იბრძვიან. მეამბოხეთა უმთავრესი ნაწილი კომანოვოს და კრატოვს ახლოს არიან მოთავსებულნი, რესნის, ოხრიდას და ბიტოლიას ახლო ხეობები უჭირავთ.

ვენა. იმპერატორი იშლიდან ვენას მოდის, რომ ჰუნგრეთის პოლიტიკური მოღვაწეები უნგრეთის კრიზისზე მოსალაპარაკებლად მიიწვიოს.

ბუდაპეშტი. მინისტრთა ბჭობა მოხდა იმის გამო, თუ როგორ ინახულოს მინისტრ-პრეზიდენტმა იმპერატორი იშლში. რადგან როგორც მოელოდნენ, კუენ ჰედერვარის მოქმედების პროგრამმამ საქმის ვითარება ვერ გამოარკვია და რადგანაც კოშუტის პარტიამ გამოაცხადა, მომხდარი შეთანხმება ჩვენთვის სავალდებულო არ არისო, ამისათვის მინისტრთა საბჭომ დაადგინა სამსახურს თავი დაანებოს.

ქელცი. უმაღლესის ბრძანებით გაგზავნილი თავადი ობოლენსკი და გუბერნატორი ოზეროვი ხუთ დღეს დადიოდნენ და ათვალიერებდნენ წყალ-დიდობისაგან ყველაზე მეტად დაზარალებულ სოფლებს—სტოპნიცკისა, პინჩევსკისა და მეხოვის მაზრებში. ხელმწიფე-იმპერატორისაგან ნაბოძებ ფულიდან 3446 დაზარალებულ ოჯახობას 35,000 მან. დაურიგდა. ფულის დარიგებას დაესწრნენ შეწირულებათა შემკრებ კომიტეტის თავმჯდომარენი— რაძივილი, ტოლლოჩკო და ნოვოსელსკი. მცხოვრებნი ძალიან მადლიერნი არიან ხელმწიფის წყალობით. კამერჰერმა ოზეროვმა წინად მოიარა ყველა დაზარალებული ადგილები, დროებითი დახმარება მოაწყო და შეადგინა პროექტების შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს შეცვლილი დებულება დამცველ-დამბის შესახებ.

პეტერბურგი. როკოლოვსკი ენისეის გუბერნატორად ინიშნება.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 25 ივლისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	37,32½
ლონდონზე ჩეკები	94,45
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	99⅝ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	101 „
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	95⅛ „
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	445 „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	342½ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	291 „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა.	—
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—
4½% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	½219 „

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათით, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9) ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს, 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 ს [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ზორაპანისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.)

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მისის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, ქალთა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—159)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაზანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაცემა პროლოგ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

Дозв. ценз. Тифлисъ, 26 Іюля, 1903 г.
ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ.
(Электропеч. Груз. Издат. Т—ва)